თრიალეთის ქედის კვეთა. გედაქლარი — რკონი

მარშრუტის აღწერა

ტურის ვებ-გვერდი

შენიშვნა: მდინარის მხარეების/ნაპირების და შენაკადების განსაზღვრება (მარცხენა ან მარჯვენა) მოცემულია სტანდარტული წესის შესაბამისად: მდინარის დინების მიმართულების გათვალისწინებით (ჩვენი მოძრაობის მიმართულების გაუთვალისწინებლად).

მარშრუტი სოფელ გედაქლარში იწყება. სტეპიანი ფერდობების გავლით თრიალეთის ქედისკენ მივდივართ.

როდესაც ქედის თხემზე ავალთ, ქედის ჩრდილოეთით ტყის მასივებით შემოსილი ლანდშაფტი გადაგვეშლება. ერთ-ერთი ქედის თხემზე პატარა შენობა მოჩანს.



პატარა შენობა ისრით არის მონიშნული.

მივდივართ შენობის მიმართულებით. ეს ძველი მეგალითური ეკლესიაა. ეკლესიიდან ტყეში ქვევით ვეშვებით. რადგანაც ეს ადგილები ცუდად არის

Crossing Trialeti Range. Gedaklari — Rkoni

Route Description

Tour web-page

Note: the sides/banks and tributaries of rivers (whether left or right) are determined by common rule: by looking towards the direction of the river stream (ignoring our moving direction).

The route begins in Gedaklari village. We ascend towards Trialeti Range on steppe slopes.

Once we reach the top of the range, we will see heavily forested scenery north of the range. On the ridge of one of the ranges, we can detect a small building.



The small building is marked by the arrow.

We have to hike toward this building. This is an old megalith church. From the church, we descend in the forest. As there is a lack of paths, we have to keep direction to north.

© შპს „ბისნა“ ● Bisna LLC | 2020

გაბილიკებული, უნდა შევეცადოთ, რომ ჩრდილოეთის მიმართულება შევინარჩუნოთ. გარკვეული მანძილის შემდეგ ტყეში გზა შეგვხვდება, რომელსაც მიტოვებულ სოფელ იურისთან მივყავართ.

იურის ნასოფლარი

იურიდან მარჯვნივ, უახლოეს ქედზე ავდივართ, შემდეგ კი მარცხნივ ვუხვევთ და ქედის თხემს მივუყვებით.

გარკვეული მანძილის შემდეგ ბილიკს მივადგებით, რომელსაც მდინარე თეძამის მარჯვენა ნაპირამდე მივყავართ. მაგრამ გაითვალისწინეთ: ტყიანი და ცუდად გაკვალული ტერიტორიის გამო, სრულიად შესაძლებელია, ბილიკი დაკარგოთ ან ვერ მიაგნოთ მას. ამიტომ ბისნა გირჩევთ, ისარგებლოთ ჩვენი გამოცდილი გამყოლების მომსახურებით ან უკიდურეს შემთხვევაში, გამოიყენოთ ჩვენს ვებ-გვერდზე ატვირთული GPX ბილიკი.

ვკვეთთ მდინარე თეძამს და ვიწყებთ ასვლას სრულიად ხელუხლებელ და გაუკვალავ ციცაბო ფერდობზე, მდინარეების: თეძამისა და ვიცხას ხეობების წყალგამყოფი ქედისკენ. გარკვეული სიმაღლის აღების შემდეგ დახრილობა კლებულობს. ჩვენ ქედის თხემს მივუყვებით. ეს ქედი თეძამისა და ვიცხას ხეობების წყალგამყოფი ქედის ერთ-ერთი სამხრეთ განშტოებაა. როდესაც თეძამისა და ვიცხას ხეობების გამყოფი ქედის თხემზე ავალთ, ჩრდილოეთით, ვიცხას ხეობისკენ ვეშვებით.

მალევე მივადგებით სამანქანე გზას, რომელიც რამდენიმე ფერმისა და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გავლით რკონის გზაზე გაგვიყვანს. სანამ რკონის გზაზე გავიდოდეთ, ჩვენ კიდევ ერთხელ

After certain distance, we'll meet some forest road that leads us to the abandoned village of Iuri.

Abandoned Iuri village

From Iuri, we turn to right and ascend on the nearby range, then turn to left and go along the ridge of the range.

After certain distance, we will meet a path again that leads us to the right bank of Tedzami River. But note: due to the heavily forested and poorly tracked intact areas, it is absolutely possible, to lose the path or file to find it. So Bisna recommends using our skilled guides' service or at least using the GPX track uploaded on our web-page.

We cross Tedzami and begin to ascend on the absolutely intact steep slope, to the range dividing the valleys of Tedzami and Vitskha Rivers. After gaining of certain elevation, the steepness declines. We hike along the ridge of a range that is the southern "fork" range of the range dividing Tedzami and Vitskha Valleys. Once we reach the ridge of the range dividing Tetdzami and Vitskha Valleys, we descend north to Vitskha Valley.

Soon we meet unpaved road that leads us to Rkoni road passing some farms and John the Baptist Church. In the end, before reaching Rkoni road, we have to cross Tedzami River second time.

გვიწევს მდინარე თეძამის გადალახვა.